საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №47/ნ
2021 წლის 14 ივლისი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლის დაფუძნებისა და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ" ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით, დაფუძნდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლა.

მუხლი 2
შეტანილ იქნეს ცვლილება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში (სსმ, №112, 26/09/2005) და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი №2-ით გათვალისწინებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – ვაკე-საბურთალოს რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებული საჯარო სკოლების ცხრილს 27-ე გრაფის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 28-ე გრაფა:
„

28	ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლა	დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ (ნაკვეთი 14/541 და ნაკვეთი 14/517)	დაწ-საბ-საშ

“.

მუხლი 3
ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **მიხეილ ჩხენკელი**